



სამოქალაქო საზოგადოების მიმართვა ევროკავშირს

9 ნაბიჯის შესრულებასთან დაკავშირებით
შუალედური ანგარიშის გამოქვეყნების თაობაზე

საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიმართვა ევროკომისარ ოლივერ ვარჰეის

ევროკომისიის სამეზობლო პოლიტიკისა და
გაფართოების საკითხებში ბატონ ოლივერ ვარჷის
ასლი: ევროკავშირის წარმომადგენლობას საქართველოში,
საქართველოში აკრედიტებული ევროკავშირის წევრი ქვეყნების
დიპლომატიურ წარმომადგენლობებს

ბატონო ვარჷი,

2023 წლის დეკემბერში ევროკავშირმა საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. ეს უმნიშვნელოვანესი წინგადადგმული ნაბიჯია ჩვენი ქვეყნის ევროკავშირში განეერების გზაზე, რომელსაც საქართველოს მხრიდან უნდა მოჰყვეს სწრაფი რეფორმები ევროკომისიის მიერ განსაზღვრული 9 პრიორიტეტული მიმართულებით.

სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა საკანონმდებლო და პოლიტიკის განხორციელების პროცესში, კვლავ ევროკომისიის მიერ განსაზღვრული 9 ნაბიჯის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტად რჩება. ხელმომწერი ორგანიზაციები გამოვთქვამთ მზადყოფნას აქტიური როლი შევასრულოთ და წვლილი შევიტანოთ საქართველოს ევროინტეგრაციისა და დემოკრატიული ტრანსფორმაციის გზაზე და ვიმუშაოთ იმისთვის, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის ნება სრულად აისახოს სახელმწიფო პოლიტიკაში.

ჩვენ ვაგრძელებთ ევროკომისიის რეკომენდაციების შესრულების მუდმივ მონიტორინგს, შევიმუშავებთ წინადადებებს ეფექტიანი რეფორმების ხელშესაწყობად და შევეცდებით, რომ 9 ნაბიჯი შიდა რეფორმების დღის წესრიგის მთავარ პრიორიტეტად იქცეს. 12 საზოგადოებრივი ორგანიზაციის [\[1\]](#) კოალიციამ, სამოქალაქო საზოგადოების ფონდის (ყოფილი ღია საზოგადოების ფონდის) ლიდერობით, შეიმუშავა დეტალური ხედვა, თუ როგორ უნდა შესრულდეს ეფექტიანად ევროკომისიის მიერ განსაზღვრული 9 ნაბიჯი, რათა ქვეყანა გადავიდეს ევროინტეგრაციის შემდგომ ეტაპზე.

ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, ევროკომისია გაფართოების ქვეყნების მიერ რეფორმების იმპლემენტაციის პროცესს ყოველწლიურად აფასებს. თუმცა, მიგვაჩნია, რომ საჭაროდ ხელმისაწვდომი შუალედური შეფასება,

მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს რეფორმების პროცესის სწრაფად და ეფექტიანად წარმართვას.

ამ კუთხით პოზიტიური გამოცდილება იყო 2023 წლის 23 ივნისს ევროკომისიის შუალედური ზეპირი ანგარიში, რომელმაც დადებითი როლი ითამაშა და ბიძგი მისცა ხელისუფლების მხრიდან გარკვეული ნაბიჯების გადადგმას. შუალედური ანგარიში მნიშვნელოვანი დამხმარე ინსტრუმენტი აღმოჩნდა სამოქალაქო საზოგადოებისთვისაც რეკომენდაციების შესრულების ზედამხედველობის პროცესში.

გემოთქმულიდან გამომდინარე, რეფორმების პროცესის ხელშეწყობისა და დაჩქარების მიზნით, ხელმომწერი ორგანიზაციები მოგმართავენ თხოვნით, განიხილოთ საქართველოს მიერ რეკომენდაციების შესრულების შესახებ შუალედური შეფასების მომზადების შესაძლებლობა. მიგვაჩნია, რომ ეს მნიშვნელოვნად დაგვეხმარება გავზარდოთ ხელისუფლების ანგარიშვალდებულების ხარისხი, რეფორმების პროცესის გამჭვირვალობა და ინკლუზიურობა და განვახორციელოთ ეფექტიანი ზედამხედველობა.

თქვენი ხელშეწყობა ამ საკითხში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ჩვენი საერთო მიზნების რეალიზაციაში.

ხელმომწერები:

1. სამოქალაქო საზოგადოების ფონდი
2. საფარი
3. დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი (DRI)
4. მმართველობის მონიტორინგის ცენტრი (GMC)
5. საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS)
6. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA)
7. სოციალური სამართლიანობის ცენტრი
8. საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI)
9. საქართველოს სასამართლოს გუშაგი
10. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი (GFSIS)
11. სამართლიანი არჩევნები (ISFED)
12. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

